

ტესტის სახელწოდება:

ბილირუბინის ანალიზი

ტესტის ალტერნატიული დასახელება:

სხვა დასახელება არ გააჩნია. ამ ანალიზის სხვადასხვა ვარიანტით შეიძლება განსაზღვრონ საერთო ბილირუბინი, პირდაპირი ბილირუბინი ან არაპირდაპირი ბილირუბინი.

რას იკვლევს მოცემული ტესტი:

მოცემული ტესტი სისხლში ბილირუბინის რაოდენობას ადგენს. ბილირუბინი მოყვითალო პიგმენტია, რომელიც ჰემის დაშლის შედეგად წარმოიქმნება. ჰემი, თავის მხრივ, ჰემოგლობინის შემადგენლობაში შედის. ჰემის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ბილირუბინს არაპირდაპირი ბილირუბინი ეწოდება. იგი სისხლით ტრანსპორტირდება ღვიძლისკენ და იქ გარდაიქმნება პირდაპირ ბილირუბინად. პირდაპირი ბილირუბინი გადადის ნალველში და მასთან ერთად ხვდება წვრილ ნაწლავებში. საბოლოოდ, ბილირუბინი ორგანიზმს განავალთან ერთად ტოვებს.

სისხლში არაპირდაპირი ბილირუბინის მცირე რაოდენობით არსებობა ნორმალურია.

როდესაც ბილირუბინის რაოდენობა იმატებს, ადამიანს უვითარდება სიყვითლე - კანი და სკლერა ყვითელ შეფერილობას იღებს.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ ბილირუბინის რომელი ფორმის ხარჯზეა საერთო ბილირუბინი მომატებული – პირდაპირის თუ არაპირდაპირის. როდესაც არაპირდაპირი ბილირუბინი მატულობს, ექიმმა შეიძლება ეჭვი მიიტანოს ჰემოლიზზე ან ღვიძლის ისეთ დაავადებაზე, რომელიც ხელს უშლის არაპირდაპირი ბილირუბინის პირდაპირად გარდაქმნას – მაგ. ციროზზე. პირდაპირი ბილირუბინის მომატება ნიშნავს, რომ ბილირუბინის გარდაქმნა ნორმალურად ხდება, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო პირდაპირი ბილირუბინი ვეღარ ახერხებს წვრილ ნაწლავებში გადასვლას. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ჰეპატიტით ან სანალვლე გზების ბლოკირებით.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:

ბილირუბინის ანალიზს ნიშნავენ მაშინ, როდესაც პაციენტს აღენიშნება სიყვითლე, ეჭვი აქვთ ჰემოლიზზე, ღვიძლის დაავადებაზე ან სანალვლე გზების ბლოკირებაზე.

როგორ კეთდება ეს ტესტი:

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:

ანალიზამდე რამდენიმე საათით ადრე შესაძლოა საჭირო გახდეს საკვების მიღებისგან თავის შეკავება. გარდა ამისა, ზოგიერთ მედიკამენტს შეუძლია გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე. ამიტომ აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია და ანალიზისთვის მოსამზადებლად დეტალური ინსტრუქციების მიღება.

შედეგების ინტერპრეტაცია:

ზოგადად, არაპირდაპირი ბილირუბინის მომატება შეიძლება გამოწვეული იყოს ციროზით

ან ჰემოლიზით. პირდაპირი ბილირუბინის მომატება კი შეიძლება გამოიწვიოს სანადვლე გზების ჩაკეტვამ (რაც თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს, მაგალითად, ნაღვლის ბუშტის კენჭებმა ან სიმსივნემ). ზემოთჩამოთვლილი შესაძლო მიზეზების გარდა არსებობს სხვა დარღვევებიც, რომლებმაც პირდაპირი ან არაპირდაპირი ბილირუბინის მომატება შეიძლება გამოიწვიონ. ამიტომ შედეგების ინტერპრეტაცია მხოლოდ მკურნალი ექიმის მიერ უნდა მოხდეს.